საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-359

24/04/2020

ქ. თბილისი

„შპს თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია ბლექ სი გრუპის მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით წარმოდგენილ ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 19 ივლისის №ი-347 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2020 წლის 20 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2010 წლის 15 ივლისს გაცემული №43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე გაიცა №43 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (15.07.2010).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2012 წლიდან საწარმო აღარ ფუნქციონირებს და ტერიტორია გასხვისებულია. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა ითხოვა დასკვნის გაუქმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია ბლექ სი გრუპის მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით წარმოდგენილ ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 19 ივლისის №ი-347 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი